ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომა

ო ქ მ ი#3

11 მარტი 2020 წელი

ქ.ბაღდათი 11.00 სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა: სიმონ ჭოლოკავა

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
გრიგოლ ტაბეშაძე
ფრიდონ მაჩიტაძე
მურად ბურჯანაძე
გაბრიელ ღიბრაძე
თემურ მინაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის ექსპერტ-კონსულტანტი - კარლო დოგრაშვილი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ნოდარ გიორგიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: გურამი კიკნაველიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი: მირიან ფულარიანი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი: კახა მსხვილიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: გიორგი ნერგაძე

სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მიერ 2020 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელად წარსადგენი პროექტების განსაზღვრის შესახებ

   მომხს: კახა მსხვილიძე

2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ წითელხევში 30.13.34.412 საკადასტრო კოდზე მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სსიპ საქართველოს საპატრიარქოსთვის უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

   მომხს: მირიან ფულარიანი

სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილონ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხები

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი1 კომისიის თავმჯდომარემ სიმონ ჭოლოკავამ წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მიერ 2020 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელად წარსადგენი პროექტების განსაზღვრის შესახებ, აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსმა: კახა მსხვილიძემ, მან განაცხადა, რომ სატენდერო ეკონომიები გვაქვს 379.824ლარი და კიდევ რა დაემატება ე.წ ბონუს თანხა ჯერ არ ვიცით, ბონუს კალათიდან მოვითხოვეთ გასულ წლებში დაწყებული და პროექტების დასასრულებელი თანხა, ასევე გზის საფარის მოწყობა ქ. ბაღდათის ტერიტორიაზე მ. ჯავახიშვილის ქუჩის შესახვევი და წმინდა მარიამის ქუჩა, ც.დადიანის ქუჩა, დ.აღმაშენებლის ქუჩა

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსმა: კახა მსხვილიძემ განაცხადა, რომ საპროექტო სამუშაოები დასრულებულია ქ.ბაღდათისა და სოფ.დიმის დამაკავშირებელ ხიდის აღდგენაზე და წელს უნდა დასრულდეს ასევე ქ.ბაღდათის ტერიტორიაზე გვინდა დაემატოს შ.რუსთაველის და ი.ჭავჭავაძის ქუჩების რეაბილიტაციის საკითხი

კომისიის წევრი: მურად ბურჯანაძემ გამოთქვა მოსაზება, რომ მივესალმები თუ მოხდება ქალაქის ქუჩების მოწყობა, არ ვარ წინააღმდეგი მაგრამ გვაქვს სოფ. ობჩაში გზები დაწყებული და პრაქტიკულად არ შეიძლება ამ გზების დაუსრულებლობა მითუმეტეს, რომ ვადებში ეს პროცესები ძალიან გახანგრძლივებულია ამ გზების დაგების საკითხებს ნუ დავანაწევრებთ რამოდენიმე წლების განმავლობაში

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ: სიმონ ჭოლოკავამ კენჭისყრაზე დასვა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მიერ 2020 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელად წარსადგენი პროექტების განსაზღვრის შესახებ საკითხი გატანილ იქნას შემდგომი განხილვისათვის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე

კომისიამ გადაწყვიტა:
ბაღდათის მუნიციპალიტეტის მიერ 2020 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელად წარსადგენი პროექტების განსაზღვრის შესახებ საკითხი გატანილ იქნას შემდგომი განხილვისათვის საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე
კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე: 6 **წინააღმდეგი: 0**

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი2 კომისიის თავმჯდომარემ სიმონ ჭოლოკავამ წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ წითელხევში 30.13.34.412 საკადასტრო კოდზე მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სსიპ საქართველოს საპატრიარქოსთვის უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ, აღნიშნულ საკითხზე

მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსმა: მირიან ფულარიანმა

კომისიის თავმჯდომარე: სიმონ ჭოლოკავამ კითხვით მიმართა მირინა ფულარიანს, რომ გასათვალიწინებელი იყო მოსახლეობის აზრი და თუ არსებობს ამ საკითხითან მიმართებით თანხმობა სოფ. წითელხევის მოსახლეობის მიერ და შესაბამის ოქმი, რომ ეთანხმებიან ამ კომისიის სხდომაზე წარმოდგენილ საკითხის დადებითად გადაწყვეტას რამდენი კაცი ესწრებოდა სხდომას

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი: მირიან ფულარიანმა უპასუხა სიმონ ჭოლოკავას, რომ სხდომა ჩატარდა გვაქვს კრების ოქმი თანხმობა გვაქვს და სავარაუდოდ ესწრებოდა სოფლის მოსახლეობა 60ადამიანი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ: სიმონ ჭოლოკავამ კენჭისყრაზე დასვა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ წითელხევში 30.13.34.412 საკადასტრო კოდზე მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სსიპ საქართველოს საპატრიარქოსთვის უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

კომისიამ გადაწყვიტა:

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ წითელხევში 30.13.34.412 საკადასტრო კოდზე მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სსიპ საქართველოს საპატრიარქოსთვის უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე: 6 **წინააღმდეგი: 0**

სხდომის დღის წესრიგით მიხედვით საკითხი ამოიწურა

სხდომა დახურულად გამოცხადდა

კომისიის თავმჯდომარე: სიმონ ჭოლოკავა